



ოქმი:ო37.37203591

თარიღი:24/12/2020

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ღია მმართველობა საქართველოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი 1

2020 წელი, 22 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
12.00-13.30 საათზე

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია,საკრებულოს თავმჯდომარე
ესწრებოდნენ : ნანა თავდუმაძე, ნანული ორაგველიძე, ლევან მგელაძე, გენო ჩავლეშვილი, ვიორგი ღურჯუმელიძე, ეკატერინე მგელაძე, ვიორგი კილაძე, ტარიელ აროშიძე, ბახვა დოლიძე, ლევან ხინთიბიძე, მინდია სალუქვაძე, თამარ ღლონტი, ლევან მჭავანაძე, ქეთევან ცანავა, მიხეილ დარჩიაშვილი, მარიკა გორგაძე, პელაგია მახაური, დიანა ენდელაძე, გრიგოლ ცხადაძე, ზურაბ ნასარაია.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების 2019-2020 წლების სტრატეგიის“ მოკლე მიმოხილვა.

მომხსენებელი: ვიორგი ღურჯუმელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების 2019-2020 წლების სტრატეგიით“ ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგი.

მომხსენებლები: ლევან ხინთიბიძე

ნანა თავდუმაძე

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების 2019-2020 წლების სტრატეგიით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება.

მომხსენებელი: თამარ ღლონტი

4.დისკუსია 2020-2021 წლების დაგეგმვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა სამუშაო ჯგუფის წევრებს, მოწვეულებს, უსურვა თავიანთ საპასუხისმგებლო საქმიანობაში წარმატებები, მოკლედ ისაუბრა „ღია მმართველობა საქართველოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების მუნიციპალიტეტის მიერ შესრულების მნიშვნელობაზე, სხდომა განსხილად გამოაცხადა და სიტყვა გადასცა მოწვეულ სტუმრებს: ქ.ცანავამ აღნიშნა, საგულისხმოა რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორივე ორგანო ჩამბულია ამ პროცესებში, ახლა უნდა დაიწყოს მუშაობა OGP ლოკალის გეგმის შესამუშავებლად, რაშიც აქტიურად დაეხმარებიან, ამასთან სასურველია ოფიციალურად ჩამოყალიბდეს ფორუმი და არასამთავრობო ორგანოებთან მუშაობას ფორმა მიეცეს. მ.დარჩიაშვილმა განაცხადა, რომ მონარულია სხდომის დასწრების, საგულისხმოა, რომ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთმა პირველმა შეიმუშავა საკუთარი ძალებით, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განაცხადა, რომ ახალი გეგმის შემუშავებაში ქმედით დახმარებას აღმოუჩენენ. ზ.ნასარაიამ აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ურთიერთობაში არის ნიშა, რომლის შევსების შემდეგ კიდევ უფრო ნაკლები იქნება კორუფციული რისკები. პ.მახაურმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აქტიურობა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, უნდა შემუშავდეს ახალი ანტიკორუფციული გეგმა, რომლის ფარგლებში ალბათ ნაყოფიერად ითანამშრომლებენ. ამის შემდეგ სიტყვა პირველ საკითხზე მოხსენებისათვის გადასცა გ.ღურჯუმელიძეს, რომელმაც მოკლედ ისაუბრა სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი მუშაობის შედეგიანობას, სტრატეგიის სამ ძირითად მიზანს-1.მუნიციპალიტეტის ორი

ორგანოს-საკრებულოსა და მერიის მუშაობის გამჭვირვალობის გაზრდა; 2. ამ ორგანოების თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულების ამაღლება 3. მუნიციპალიტეტის მართვაში მოქალაქეების მონაწილეობის ამაღლება, ისაუბრა ამ სამი ძირითადი მიზანის მისაღწევად დასახულ 9-ამოცანაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე ისაუბრა ლ.ხინთიბიძემ, აღნიშნა, რომ პანდემიამ გარკვეულად შეცვალა სამუშაო გარემო, მაგრამ OGP-ის პროგრამა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შესრულების აქტიურ ფაზაშია, გასული წელი დაეთმო სამუშაო სტრატეგიის შემუშავებასა და ამოცანების განსაზღვრას, საგულისხმოა, რომ ამ პროცესებში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფრო აქტიურებს ვიდრე მერია, ამიტომ სასურველია მერმა გამოეყოს ერთი კონკრეტული თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება და იმუშავებს ამ საკითხებზე. ზურაბ ნასარაიამ განაცხადა, რომ ამ სხდომას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მერიის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი.

ნანა თავდუმაძემ ისაუბრა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ მონიტორინგის დროს ხორციელდება დაგეგმილისა და მიმდინარე პროგრესის შედარება, ხოლო მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროგრამის შესაფასებლად. როგორც

სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი იგი დასრულებული მონიტორინგის ჩარჩოსა და ანგარიშს წარუდგენს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს. დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მოკლე მოხსენება გააკეთა თ.ლომჯინაძემ, მან მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ორგანიზაციებს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, განაცხადა, რომ მათი დამსახურებით გახდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტი OGP-ლოკალის წევრი, აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიისა ჯგუფი მუშაობს შედეგების მონიტორინგზე.

მ.სალუქვაძემ პ.მახაურს დაუსვა შეკითხვა - სად შეიძლება ნახონ დოკუმენტი კორუფციული რისკების პრევენციასთან დაკავშირებით? - მიიღო განმარტება - იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე.

გ.კილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვისა და პირადად მისთვის სტრატეგიის პროცესში მონაწილეობა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა, მისი აზრით უნდა ყოფილიყო ორმიზიანი ოპტიმიზაციით კრიტერიუმების განსაზღვრა: რამდენად მნიშვნელოვანია ეს თუ ის ვალდებულება და რამდენად ადვილი ან ძნელი იქნება მათი შესრულება. სხდომის მონაწილეები ამის შემდეგ გადავიდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხზე, რომლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებსა და სხდომის მონაწილეებს ერთობლივი მუშაობისათვის და განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფი მოამზადებს დასკვნა-ანგარიშს აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე და განსახილველად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომავალი წლის იანვრის თვეში.

გადაწყვიტეს:

- 1. მომზადდეს მუნიციპალიტეტში OGP-ის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ანგარიში და წარდგენილ იქნას 2021 წლის იანვრის ბოლოს განსახილველად და დასამტკიცებლად.
 - 2. გაგუვრძელდეს ვადა ერთი თვით დროებით სამუშაო ჯგუფს, რის შესახებაც ეთხოვოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
- სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე დ. დარჩია და მოადგილე გ. ლურჯუმელიძე შეთანხმდნენ საზოგადოებრივი დარბაზის წევრებთან, რომ მუნიციპალიტეტის 2021 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის ერთობლივი განხილვა მოეწყობა მიმდინარე წლის 28 დეკემბერს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ხოლო საკრებულოს სხდომა ჩაინიშნება 29 დეკემბერს.

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

